ტურისტების ნაკადის ზრდის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ზრდა, რაც შესაძლებელია, მიღწეულ იქნას მოწვეული ინფო და პრეს-ტურებით, ასევე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობით სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებაში (ბაზრობები, გამოფენები და სხვ.). ასევე, საინფორმაციო მასალის უზრუნველყოფით, (ადგილზე ჩამოსული სტუმრებისათვის და/ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ). ტურისტული კომპანიები და/ან სააგენტოები, მედიის წარმომადგენლების სტუმრობა და ტურების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდებ შემდეგი სახის ღონისძიებები: ახალი წლის ღონისძიება, ბაკურიანობა, ქალთა დღესასწაულები, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროგრამა, კლასიკური მუსიკის კონკურსი, ფოლკლორული ფესტივალი, ტურისტული სეზონის გახსნა და ტურისტული დღეები, სამ სოფელში გაიმართება სახელობითი დღეები და ფესტივალები (ტაძრისში - გიორგი ათონელის ხსენების დღე, წაღვერში და ახალდაბაში ზაფხულო ფესტივალი), სამეწარმეო ფესტივალი და სხვა და სხვა ღონისძიებები (იუბილეების აღნიშვნა, ბროშურების, ბუკლეტებისა და რუკების ბეჭდვა, ტრენინგები, შემოთავაზებული ინიციატივებისა და პროექტების ხელშეწყობა). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ "სამცხე -ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია"

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			05 02 03
ქვეპროგრამის დასახელება:	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები		
არის ქვეპროგრამა ახალი?			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახური )		
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	587.5		
სახელმწიფო ბიუჯეტი	5.2		
სხვა .....			
სულ ქვეპროგრამა	592.7		
მ.შ. კაპიტალური პროექტები			
მიზანი და აღწერა	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქციის დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაცია .პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზაფხულო ბიბლიოთეკის შენობის და ტურისტული ცენტრის რეაბილიტაცია, ასევე მოხდება ცენტრალურ ისტორიულ პარკში საზაფხულო ატრაქციონების მოწყობა და დეკორატიული დახლების „წიგნი“ შესყიდვა.		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			05 02 04
ქვეპროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა		
არის ქვეპროგრამა ახალი?			არა



თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	285.0		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>285.0</b>		
მ.შ. კაპიტალური პროექტები			
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით.		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	კულტურის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება
დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	274.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....(სარეზერვო)	3.8
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>277.8</b>
მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდობის მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდობის ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა. ახალგაზრდობის მხარდაჭერა ასევე გულისხმობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სპორტით



დაკავებული ბავშვების, ახალგაზრდების და მათი მწვრთნელების, განათლების, ერუდიციის და კულტურის სფეროში (მუსიკოსი, მხატვარი, ინტელექტუალი, მოჭადრაკე, მოცეკვავე...) წარმატებული მოსწავლეების და პედაგოგების ხელშეწყობას, მათი წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ერთჯერად ფულად წახალისებას. პროგრამის ფარგლებში ასევე მიიღებს ფინანსურ დახმარებას (ერთი წლის განმავლობაში) საგანმანათლებლო პროექტი „ეტალონის“ გამარჯვებული, ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100, 70 და 50 გრანტის მფლობელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები (ერთჯერადად) და ბაკალავრის ხარისხის მფლობელი სტუდენტები, რომელთაც სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსი აქვს არანაკლებ 91 - 100 ქულა.

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა ახალგაზრდობა, სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	საინფორმაციო მომსახურება
პროგრამის განმახორციელებელი:	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წელი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია როგორც ტელევიზიასთან ასევე პრესასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.
პროგრამის განხორციელების პერიოდი	2022 წელი
საინფორმაციო მომსახურება	85.0
სულ პროგრამა	85.0
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,616.5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	
06 00	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2,559.8</b>	<b>2,738.6</b>	<b>2,616.5</b>	
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	<b>314.0</b>	<b>153.5</b>	<b>173.3</b>	
06 01 01	ჯანდაცვის ცენტრი	106.3	100.5	104.2	
06 01 02	ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობა და რეაბილიტაცია	169.0	11.0	29.1	
06 01 03	უმეტვალყოფიერად დარჩენილი ძაღლების პოპულაცია	38.7	42.0	40.0	
<b>06 02</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>2,245.8</b>	<b>2,585.1</b>	<b>2,443.2</b>	
06 02 01	მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	944.1	1,028.5	856.2	
06 02 02	უფასო სასადილოს დაფინანსება	267.7	292.9	379.2	
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	3.6	1.3	2.1	
06 02 04	მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება	6.8	5.2	6.0	
06 02 05	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	42.9	55.4	50.0	
06 02 06	18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება		6.00	8.25	6.0
06 02 07	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა		1.9	4.0	2.8
06 02 08	ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება		4.70	3.60	3.6
06 02 09	18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		218.1	221.50	223.2
06 02 10	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება		48.91	13.87	0.9
06 02 11	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა		293.9	348.11	196.8
06 02 12	სოციალური დახმარებები		407.4	420.50	466.4



06 02 13	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	48.9	182.04	200.0
02 06 14	ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა	0.00	0.00	50.0

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:		ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 01		
პროგრამის დასახელება:		ჯანმრთელობის დაცვა		
პროგრამის განმახორციელებელი:		მუნიციპალიტეტის მერია 'ს.ა.ი.პ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი		
პროგრამის განხორციელების პერიოდი:		2022-2025		
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის(გაიდლაინის) შესაბამისად.</p> <p>მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველ ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.</p> <p>უმეტვალყურეოდ დარჩენილი ცხოვრების პოპულაცია მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების გადაყვანა, კასტრაცია, სტერილიზაცია, აცრები და დაბირკვა.</p>			
ქვეპროგრამის დასახელება		2022 წელი		
06 01 01	ჯანდაცვის ცენტრი	104.2		
06 01 02	ამბულატორიული და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობა	29.1		
06 01 03	უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაცია	40.0		
სულ პროგრამა		173.3		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მეტვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		ჯანმრთელობის დაცვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 01 01		
ქვეპროგრამის დასახელება:		ჯანდაცვის ცენტრი		
არის ქვეპროგრამა ახალი?		<u>არა</u>		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ს.ა.ი.პ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი		
დაფინანსების წყარო	2022 წელი			



მუნიციპალური ბიუჯეტი	104.2
ადგილობრივი ბიუჯეტი	
სახელმწიფო ბიუჯეტი	8.3
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>112.5</b>
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>	
მიზანი და აღწერა	<p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 წლის ასაკის ზემოთ მოსახლეობის კვლევა c ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე, ტუბერკულოზზე, მათი ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა, გავრცელების პრევენცია, გამოვლენილ პაციენტთა დროული ჩართვა სახ. პროგრამის სამკურნალო ნაწილში. c ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.</p>

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ამბულატორიული, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების და ჰუმანიტარული დახმარების ხელშეწყობა და რეაბილიტაცია
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	29.1
სახელმწიფო ბიუჯეტი	-
სხვა .....	
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>29.1</b>



მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველსაყოფად წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფა, მპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"-ს ბაკურიანის სამედიცინო დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისთვის, სერვისების უწყვეტი მიწოდების მიზნით, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, ექიმი ტრავმატოლოგის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან 3 თვის ვადით.			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01 03			
ქვეპროგრამის დასახელება:	უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაცია			
არის ქვეპროგრამა ახალი?				არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	მუნიციპალიტეტის მერია			
დაფინანსების წყარო	2022 წელი			
მუნიციპალური ბიუჯეტი	40.0			
სახელმწიფო ბიუჯეტი				
სხვა .....				
სულ ქვეპროგრამა	40.0			
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დასახლებაში ბინადარი უპატრონო-მიუსაფარი შინაური ძაღლების პოპულაციის მართვა, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით. მიუსაფარი ძაღლების დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით. მათზე საიდენტიფიკაციო საშუალებების განთავსება. ადამიანისა და შინაური ცხოველების თანაარსებობისათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.			

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა			
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02			
პროგრამის დასახელება:	სოციალური დაცვა			
პროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, ა) იპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი			
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025			

სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია გაჭირვებული მოსახლეობის თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტაციონარული სამედიცინო მომსახურება და დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი. სოციალური პროგრამების ფარგლებში



პროგრამის მიზანი და აღწერა

განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, კერძოდ: ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება, 18 წლამდე დედ-მამით ობოლო ბავშვების დახმარება, 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება, სარიტუალო დაკრძალვის ხარჯები, ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის და ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა. ახალდაქორწინებული წყვილის დახმარებას 300 ლარით, დახმარება გაიცემა მიმდინარე წელს გაცემული საქორწინო რეგისტრაციის საფუძველზე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე "ბავშვთა საერთაშორისო დღე"-სთან დაკავშირებით ერთჯერად დახმარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 100 წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით, ასევე მარტოხელა სოც. დაუცველ დედებზე (ა160 ათ. ქულამდე) ყოველთვიურად 100 ლარით დახმარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიან დედებზე "დედის დღესთან" დაკავშირებით ერთჯერად 150 ლარით დახმარებას. ქვეპროგრამით ხორციელდება დღის ცენტრი "თებე"-ს და ორგანიზაცია "ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა"-ს კომუნალური გადასახადების დაფინანსება ყოველთვიურად. ასევე ქვეპროგრამით ხორციელდება მრავალშვილიან ოჯახებზე და დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებზე კომუნალური გადასახადის წილობრივი დაფინანსება. ბორჯომის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უჭირისუფლო მიცვალებულების, რომელიც იდენტიფიცირებულია, მაგრამ შეუძლებელია გარდაცვლილის ნათესავის, კანონიერი წარმომადგენლის ამ შემთხვევაში მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირის დადგენა სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება არაუმეტეს 500 ლარისა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 70 000-მდე ქულის მქონე ოჯახებზე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობით უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვას სოც. მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული სიბის შესაბამისად. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2-ჯერადად (ახალ წელს და აღდგომას) თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლო ბავშვების, მარტოხელა შშობლების, 18 წლ შშმ პირების და 18 წლის ზევით 1 ჯგ. შშმ ინვალიდების, დ/ს ომის ვეტერანების, საქ. თერ. მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებისა და მარჩენალდაკარგულთა პირების(სარიტ ქულით 160 000მდე)საქ. ტერ. მთლიანობისთვის შშმ ვეტერან ინვალიდებზე(დეგნილებიც) ავღანეთის ომის ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულ პირებზე და ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებზე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დღეში ერთჯერადად უფასო სასაიდლოთი სარგებლობა. აღნიშნული ქვეპროგრამების მენეჯიციარები არიან: შშმპ, სოციალურად დაუცველები, ომის ვეტერანები.

	ქვეპროგრამის დასახელება	2022 წელი
06 02 01	მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	856.2
06 02 02	უფასო სასაიდლოს დაფინანსება	379.2
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.1
06 02 04	მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება	6.0
06 02 05	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	50.0
06 02 06	18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება	6,0
06 02 07	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა	2.8
06 02 08	ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება	3.6
06 02 09	18 წლამდე ასაკის 4 და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება	223.2
06 02 10	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება ტყის ხანძრის სალიკვიდაციო ხარჯი	0.9
06 02 11	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	196.8
06 02 12	სოციალური დახმარებები	466.4
06 02 13	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	200.0



06 02 14	ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა	50.0
	<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ფინანსური მხარდაჭერა

<b>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</b>		<b>სოციალური დაცვა</b>	
<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>		<b>06 02 01</b>	
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>		<b>მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება</b>	
არის ქვეპროგრამა ახალი? =			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>		<b>ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური</b>	
<b>დაფინანსების წყარო</b>	<b>2022 წელი</b>		
მუნიციპალური ბიუჯეტი	750.0		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....(სარეზერვო)	106.2		
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>856.2</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	<p>სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია გაჭირვებული მოსახლეობის თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე რეგისტრირებული მოსახლეობის დახმარებას. აღნიშნული პროგრამით 100 %-ით დაფინანსდებიან ის სოც. დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტონგო ქულა 0-დან 160 000-მდე. მაქსიმალური გასაცემი თანხა 5000 ლარი. ბენეფიციარები, რომელთა სარეიტონგო ქულა 160 000-დან 200 000-მდეა დაფინანსდებიან 100 %-ით და მაქს. გასაცემი თანხაა 3000 ლარი. ის ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოც. დაუცველთა ბაზაში და საჭიროებენ სტაციონარულ მომსახურებას დაფინანსდებიან 70 %-ით. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2000 ლარი. სრული დაფინანსება გაეწიოთ C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით, აუტისტური სპექტრის და დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებს (სარეაბილიტაციო ცენტრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) ასევე მინდობით აღზრდაში მყოფ პირებს, ობლებს და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, 18 წლამდე შშმ პირებს, II მსოფლიო ომის მონაწილეებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ შშმ ვეტერანებს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციების მონაწილეებს. მაქსიმალური გასაცემი თანხა 3000 ლარი. 100 ლარამდე წარმოდგენილი ანგარიშგაქტურა დაფინანსდეს სრულად. პროგრამის მოქმედება არ ვრცელდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობაზე, ტრანსპლანტაციის ხარჯებზე, ესთეტიკურ, პლასტიკურ ქირურგიაზე და კურორტულ მომსახურებაზე. ასევე არ დაფინანსდება არჩეული იმპლანტატის, აყვანილი ექიმის და "ვიპ" პალატის ღირებულება. ასევე იმ სამედიცინო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში. ბენეფიციართა დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად. 2021 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 935 ბენეფიციარმა</p>		



პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 02	
ქვეპროგრამის დასახელება:		უფასო სასაბავშვო დაფინანსება	
არის ქვეპროგრამა ახალი?		არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ა(ა)იპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	379.2		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>379.2</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია გაუმჯობესებული მომსახურება მაღალი ხარისხის პროდუქტებით უზრუნველყოფა. უფასო სასაბავშვო ყოველდღიურად ისარგებლებენ ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები.		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 03	
ქვეპროგრამის დასახელება:		ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	
არის ქვეპროგრამა ახალი?		არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	2.1		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>2.1</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილების ოჯახებისთვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარების გაწევა და ხარჯების შემსუბუქება. ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 250 ლარი, ხოლო		



იდულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 100 ლარი.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 04	
ქვეპროგრამის დასახელება:		მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება	
არის ქვეპროგრამა ახალი?			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	6.0		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
სულ ქვეპროგრამა	6.0		
მ.შ. კაპიტალური პროექტები			
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 9 მაისთან დაკავშირებით დ/ს ომის ვეტერანებისთვის 300 ლარით და მათთან გათანაბრებული პირებისთვის 100 ლარით ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ ვეტერანზე . ხოლო 26 მაისს დ/ს ომის და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შშმ ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 100 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე. დახმარების გაცემა განხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს ბორჯომის რაიონული განყოფილების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე. 2021 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 46 ბენეფიციარმა. მიზანს წარმოადგენს ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 05	
ქვეპროგრამის დასახელება:		ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	
არის ქვეპროგრამა ახალი?			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	50.0		
სახელმწიფო ბიუჯეტი			



სხვა .....	
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>50.0</b>
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>	
მიზანი და აღწერა	აღნიშნული დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლის ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წელს ან წინა წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში .ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 300-მდე ბენეფიციარი. 150 ლარს პირველ ბავშვზე, 200 ლარს მეორე ბავშვზე , 300 ლარს მესამე ბავშვზე, 1000 ლარი მეოთხე და მომდევნო ბავშვების შეძენაზე ,რაც გავლენას იქონიებს მატერიალური ხელშეწყობაზე.

<b>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</b>	<b>სოციალური დაცვა</b>
<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 06</b>
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	<b>18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება</b>
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური</b>
<b>დაფინანსების წყარო</b>	<b>2022 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	6.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....	
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>6.0</b>
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>	
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლ ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისთვის ყოველთვიური დახმარება 250 ლარი თითოეულზე. დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; მეურვის პირადობის მოწმობის ასლი. ცნობა მეურვეობის შესახებ; მეურვის განცხადება. მიზანი ითვალისწინებს ობოლო ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა.

<b>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</b>	<b>სოციალური დაცვა</b>
<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 07</b>
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	<b>სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი</b>
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	



ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	2.8		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....(სარეზერვო ფონდი)			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>2.8</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	სტიქიის და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 08		
ქვეპროგრამის დასახელება:	ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება		
არის ქვეპროგრამა ახალი?			არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	3.6		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>3.6</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	სოციალური დახმარების ძირითადი მიზანია ღვაწლმოსილი ადამიანების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერა.ეს დამხარებები ხორციელდება საკრებულოს მიერ დადგენილების მიხედვით დადგენილი წესის შესაბამისად.		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 09		
ქვეპროგრამის დასახელება:	18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		



არის ქვეპროგრამა ახალი?		არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	223.2	
სახელმწიფო ბიუჯეტი		
სხვა .....		
სულ ქვეპროგრამა	223.2	
მ.შ. კაპიტალური პროექტები		
მიზანი და აღწერა	სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახებს, დახმარება გაიცემა 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე . რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-160000 მდე. ხოლო 150 ლარის ოდენობით და დამატებით ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარის დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ასევე 150 ლარით ყოველთვიურად დაფინანდება 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი.	

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10	
ქვეპროგრამის დასახელება:	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	
არის ქვეპროგრამა ახალი?		არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
დაფინანსების წყარო	2022წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		
სახელმწიფო ბიუჯეტი		
სხვა .....(სარეზერვო)	0.9	
სულ ქვეპროგრამა	0.9	
მ.შ. კაპიტალური პროექტები		
მიზანი და აღწერა	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	



პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 11
ქვეპროგრამის დასახელება:	მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	95
სახელმწიფო ბიუჯეტი	
სხვა .....(სარეზერვო)	101.8
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>196.8</b>
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>	
მიზანი და აღწერა	<p>სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.</p> <p>1.1 ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მომართვამდე უწყვეტად 1 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამით სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 150 ლარით ის სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მოქმედი სარეიტინგო ქულა 0- 160 000 -მდე.</p> <p>1.2 ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას სტაციონარში წოლის შემდგომ, დაფინანსდებიან 100 ლარით. დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად.1.3 დიალიზზე მყოფი მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა მოხდეს წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის კლინიკის მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ფორმა 100 ით (დედანი თ ერთჯერადად, ანგარიშგაქტურით აფთიაქიდან დაფინანსდეს ყოველთვიურად 100 ლარით.</p> <p>1.4 მედიკამენტებით შეძენისათვის კვარტალში მედიკამენტებით ერთჯერადად დაფინანსდებიან მოქალაქეები 100 ლარის ოდენობით, რომლებსაც მინიჭებული აქვთ-შშმ სტატუსი კერძოდ: ენცეფალოპათიით, პარკინსონის დაავადებით(კანკალა რიგიდული ფორმა) და 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები.</p> <p>1.5 150 ლარით დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები რომლებიც იმყოფებიან მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში და არ ექვემდებარებიან გადაადგილებას, ესაჭიროებათ მედიკამენტების და ჰიგიენული საშუალებების შეძენა.</p> <p>1.6 მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპატიო წოდების მქონე მოქალაქეებზე. წლიური ლიმიტი განისაზღვროს 1000 ლარით.</p> <p>1.7 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ შემუშავებულია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა. დაფინანსდება ოჯახში მცხოვრები თითოეული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვი ერთჯერადად არაუმეტეს 100 ლარისა.</p>



1.8 სრული დაფინანსება გაეწიოთ რეტის სინდრომის მქონე პაციენტებს. გარდა 1.3, 1.4, 1.6 და 1.8. პუნქტებისა ბენეფიციართა მედიკამენტოზური უზრუნველყოფა მოხდეს წელიწადში ერთჯერადად.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 12		
ქვეპროგრამის დასახელება:	სოციალური დახმარებები		
არის ქვეპროგრამა ახალი?	არა		
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
დაფინანსების წყარო	2022 წელი		
მუნიციპალური ბიუჯეტი	466.4		
სახელმწიფო ბიუჯეტი			
სხვა .....			
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>466.4</b>		
<i>მ.შ. კაპიტალური პროექტები</i>			
მიზანი და აღწერა	<p>სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მორალური და ფინანსური თანადგომა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემა, კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალდაქორწინებულ წყვილებზე, 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე "ბავშვთა საერთაშორისო დღე"-სთან დაკავშირებით და მრავალშვილიან დედებზე "დედის დღესთან" დაკავშირებით. ასევე ხორციელდება ბორჯომის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უჭირისუფლო მიცვალებულების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ერთჯერადად. ყოველთვიური ფინანსური დახმარებების გაცემა ხორციელდება: მარტოხელა სოციალურად დაუცველ დედებზე (160 ათ ქულამდე) 100 ლარის ოდენობით, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულ მოქალაქეებზე, მრავალშვილიან ოჯახების და დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებზე კომუნალური გადასახადის წილობრივი დაფინანსებისთვის და დღის ცენტრ "თებე"-ს და ორგანიზაცია "ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით, ამასთანავე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2-ჯერადად მატერიალური თანხის გაცემას (ახალ წელს და აღდგომას) მრავალშვილიანი ოჯახებზე, დედ-მამით ობოლო ბავშვებზე, მარტოხელა მშობლებზე, 18 წლ შშმ და 18 წლის ზევით 1 ჯგ. შშმ პირებზე, დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე, საქ. ტერ. მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებზე და მარჩენალდაკარგულ პირებზე(სარეიტ ქულით 160 000მდე)საქ. ტერ. მთლიანობისთვის შშმ ვეტერან ინვალიდებზე(დევენილებიც) ავღანეთის ომის ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულ პირებზე და ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებზე. ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაცველი მოახლეობის კომუნალურ სუბსიდირებას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.</p>		

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 13		



ქვეპროგრამის დასახელება:	ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა	
არის ქვეპროგრამა ახალი?		არა
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	200.0	
სახელმწიფო ბიუჯეტი		
სხვა .....(სარეზერვო)		
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>200.0</b>	
მიზანი და აღწერა	<p>სოციალური დახმარების პროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ონკოლოგიური ფენის თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რეგისტრირებული ონკოლოგიური ბენეფიციარების დაფინანსებას სადიაგნოსტიკო კვლევების, ოპერაციული მკურნალობის და მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ I, II და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიური ბენეფიციარები საჭიროების მიხედვით. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ფორმა N100, გაცემული შესაბამისი ონკოლოგიური დაწესებულების მიერ (დედანი), ანგარიშ-ფაქტურა (დედანი) და კალკულაცია (დედანი). მედიკამენტებით დაფინანსების შემთხვევაში დამატებით კალკულაცია აფთიაქიდან, ხოლო III და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიურ პაციენტებს, რაიონის ონკოლოგის მიერ შევსებული ფორმა N100-ის (ჩანაწერი მედიკამენტების ჩამონათვალით), რეცეპტის და აფთიაქიდან წარმოდგენილი კალკულაციის (დედანი) საფუძველზე გაეწიოს დახმარება ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური მოქალაქეების დაფინანსება სტაციონარული კვლევისა და მკურნალობისათვის, რაც ასობით მოქალაქის გაუმჯობესებულ ჯანმრთელობას და ხშირ შემთხვევაში გადარჩენილ სიცოცხლეს ნიშნავს.</p>	

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური დაცვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 14	
ქვეპროგრამის დასახელება:	ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა	
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	
თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
დაფინანსების წყარო	2022წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	50.0	
სახელმწიფო ბიუჯეტი		
სხვა .....(სარეზერვო)		



სულ ქვეპროგრამა	50.0
მიზანი და აღწერა	<p>ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გამლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>2. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მოსარგებლები არიან ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახები (მათ შორის შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი) რომელთა მიმართ მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ შემუშავებულია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.</p> <p>3. პროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ა) სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლის სტატუსის მქონე ბავშვის ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას 300 ლარის ოდენობით სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად საკანცელარიო, სასწავლო და პირადი ნივთების შეძენისათვის.</p> <p>ბ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ოჯახის ყოველთვიურ ფულად დახმარებას ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მოქმედების ვადით ოჯახში მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება საკვები პროდუქტის, ჰიგიენური საშუალებების, ბავშვის ხელოვნური საკვებისა და ჰიგიენური საფენების შეძენას.</p> <p>4. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების საფუძველია: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შედეგად წარმოდგენილი დასკვნა, რომელსაც უნდა ერთვოდეს:</p> <p>ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;</p> <p>ბ) ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;</p> <p>გ) არსებობის შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;</p> <p>დ) არსებობის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის (სსე) აქტი ფორმა N IV-50/4;</p> <p>ე) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან;</p> <p>ვ) ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტი;</p> <p>5. პროგრამით მოსარგებლე ბავშვის ოჯახში მცხოვრები სრულწლოვანი პირი ვალდებულია წარმოადგინოს ჩარიცხული თანხის მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ანგარიშ-ფაქტურა).</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ოჯახის მატერიალური დახმარება, რომელიც ემსახურება ბავშვის ოჯახში კრიზისის შემცირებას</p>



# ინდიკატორები

